

ეკონომიკა/ბიზნესი

რას გადაურჩა სვანეთი - ნენსკრაპესის მშენებლობა შეჩერდება

"ვადასტურებთ, რომ პროცესი გარკვეული ვადით გაჩერდება, მაგრამ პროექტში არანაირი ცვლილება არ შევა"

მარი ჩიტაია

(06.07.2018)



მესტიაში გიგანტური ჰესის მშენებლობამ ხეობის უსაფრთხოება კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ. ჭუბერში მენწყერის ჩამონოლის შემდეგ ჰესების აკვარგიანობის საკითხზე დისკუსია გრძელდება. ადგილობრივები ამბობენ, რომ მათ ნახეს "გაბრაზებული მდინარე", რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება. ისინი შიშობენ, რომ ნენსკრაპესის არსებობის შემთხვევაში, საფრთხე მეტი იქნებოდა, რასაც სპეციალისტების ნაწილი არ იზიარებს. ფაქტია, რომ სვანეთის ბუნება ადამიანის ჩარევას ვერ იტანს.

კომპანია "ნენსკრა ჰიდროს" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მშენებლობა გარკვეული ვადით გაჩერდება, თუმცა არანაირი ცვლილება პროექტში არ მოხდება.

"ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მოსახლეობას დავეხმაროთ. არ არის საუბარი იმაზე, რომ მენწყერის ჩამონოლის გამო, ჩვენ განვიხილავთ პროექტის მთლიანად შეწყვეტას, დღის წესრიგში ეს საკითხი არ დგას, თუმცა ვადასტურებთ, რომ პროექტი გარკვეული ვადით გაჩერდება, რაც შექმნილ ვითარებაში ბუნებრივია. არანაირი ცვლილება პროექტში არ მოხდება", - განუცხადეს "რეზონანსს" "ნენსკრა ჰიდროსი".

როგორც კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე ნენსკრაჰესის მოსამზადებელი სამუშაოები ისედაც გაჩერებულია. იგი გულისხმობდა მხოლოდ არსებული გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას. შესაბამისად, არანაირი ზეგავლენა ბუნებაზე მათ არ მოუხდენიათ. გარდა ამისა, სტიქიური მოვლენა წარმოიშვა სამშენებლო ტერიტორიიდან 5 კილომეტრის ქვემოთ, მდინარის მიმართულებით.

დანგრეული ხიდები და ბენვის ზიდზე მყოფი ხალხი

მესტიის მუნიციპალიტეტ ჭუბერში მთის ნაწილი გუშინ 13 საათზე ჩამოიშალა, რამაც მდინარე ნენსკრას ადიდება გამოიწვია. მოვარდნილმა წყალმა შიდა სასოფლო გზების დამაკავშირებელი 5 ხიდი, საკარმიდამო ნაკვეთები და დამხმარე ნაგებობები წაიღო. საცხოვრებელი სახლების ქვედა სართულები დატბორა.

მესაზღვრეების ინფორმაციით, სვანეთში მთა მეორედ დღის მეორე ნახევარშიც ჩამოიშალა. ადგილზე ახლაც რთული ვითარებაა და ხალხი დახმარებას ელოდება.

მესტიის გამგებელ კახა ჟორჯოლიანის განცხადებით, სტიქიური შემთხვევისას ბარალი დიდა. ჭუბერის თემში წაღებულია გზები და ხიდები. "მოხდა მდინარის შენაკადის დაგუბება, ერთბაშად გაარღვია და წამოიღო მცენარეები და რაც კი შეხვდა გზაში. წყალი შევარდა ეზოებში, სახლებში. ბარალი ძალიან დიდი გვაქვს. საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და დამხმარე ნაგებობებია წაღებული. მოქალაქეები, ვისაც საფრთხე ემუქრება, ღამეს ახლობლების ოჯახებში გაათენებენ", - აღნიშნა ჟორჯოლიანმა.

გუშინვე, დღის განმავლობაში ვრცელდებოდა განსხვავებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, შეეძლო თუ არა სტიქიური მოვლენის გამონვევა ნენსკრაჰესის მშენებლობას.

თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ნინო ვიბლიანმა ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა, რომ მთის ჩამოშლა, სავარაუდოდ, გვიან ღამით მოსულმა ნალექმა განაპირობა და მას ჰესის მშენებლობასთან კავშირი არ აქვს.

სპეციალისტები საკითხს სვამენ პირიქითაც, როგორ იმოქმედებდა სტიქია ჰესზე, რომ მისი მშენებლობა ამ დროისთვის დასრულებული ყოფილიყო. აქაც აზრთა სხვადასხვაობაა. ენერგეტიკოსი მირონ ფირცხელანი "რეზონანსთან" საუბრისას განმარტავს, რომ წყალსაცავი, არსებობის შემთხვევაში, ხეობას დაიცავდა.

"ჰესის მშენებლობის პროცესთან მენყერის დაკავშირება ცოტა უხერხული თემაა. ჩვენ ვიცით, რომ არ ყოფილა ისეთი მასშტაბური სამუშაო, რომ გარემოზე ზემოქმედება მოეხდინა. რომც დაწყებულიყო ეს პროცესი, სტიქიას ნამდვილად არ გამოიწვევდა. ჰესთან მიმართებაში საფრთხე არ არის, პროექტი ნანახი მაქვს და დამაჯერებლად შემიძლია თქმა, რომ ის მაქსიმალურად დაცულია, მაღალ დონეზე კეთდება და მსგავსი რისკი გათვალისწინებულია.

გაუმართლებელია რამე კავშირის გამოძებნა, გვირაბების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. ამჟამად მუშაობენ გამოკვლევებზე იქ, სადაც კაშხალი უნდა აშენდეს და გზის პროფილზე.

რაც შეეხება საკითხს, თუ ჰესზე რა გავლენას მოახდენდა გარემო, საფრთხეს ვერც

ამ მიმართულებით ვხედავ. კაშხალის არსებობის შემთხვევაში, ჩამოშლილი მასა წყალსაცავის აუზში შეაღწევდა და მის მოცულობას შეამცირებდა, მაგრამ დატბორვით ხეობა უფრო მეტად ნამდვილად არ დაიტბორებოდა, ვიდრე ახლა მოხდა", - განუცხადა "რეზონანსს" ფირცხელანმა.



საპირისპირო მოსაზრებისაა ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი დათო ჭიპაშვილი. ის ფიქრობს, რომ ჰესის შემთხვევაში ხეობა ბევრად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე დღეს. მიუხედავად ამისა, ჭიპაშვილიც ამბობს, რომ მომხდარის დაკავშირება ჰესის მშენებლობასთან უსაფუძვლოა, სანამ კითხვებს კვლევით არ გაეცემა პასუხი.

"სათანადოდ უნდა გამოიკვლიონ, რა მოხდა რეალურად. მოსახლეობა ამბობს, რომ საპროექტო არეალში არსებული მთაა, მაგრამ კომპანიამ საპირისპირო განაცხადა. რა მოხდა, ჯერჯერობით გაუგებარია. ხალხი ამბობს იმას, რაც მოხდა, მაგრამ გამომწვევ მიზეზს სპეციალისტები დაადგენენ. მომხდარს ერთმნიშვნელოვნად ინვესტორს ვერ დავაბრალებთ. გეოლოგიურად აქტიური ზონაა და საფრთხე ყოველთვის იარსებებს.

ის უფრო მაშინებს, რა შეიძლება მომხდარიყო, რომ ჰესის მშენებლობა ამ დროისთვის დასრულებული ყოფილიყო. სათანადოდ შესწავლილი არ არის, თუ რა ზემოქმედებას ახდენს გარემოზე არა მხოლოდ ჰესი, არამედ ისიც, გარემო როგორ

იმოქმედებს ჰესზე, ამასაც უნდა გაეცეს პასუხი.

საპროექტო არეალში ათამდე ღვარცოფული ხევია და ნებისმიერ დროს არის მსგავსი სტიქია მოსალოდნელი. წარმოდგენაც არ მინდა, რა დაემართებოდა ჰესს, ვფიქრობ, უარეს სიტუაციას მივიღებდით. ზოგადად კომპლექსური საკითხია, რაზეც შეფასების გარეშე ვერ ვისაუბრებთ", - აღნიშნა ჭიპაშვილმა.

"ყველამ ნახა, რა შეუძლია "გაბრაზებულ მდინარეს"

ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა კატეგორიულად ემიჯნება აზრს, რომ ჰესის მშენებლობის პროცესს მენყერის გამონვევა შეეძლო. ისინი ამბობენ იმასაც, რომ გიგანტური ჰესების მშენებლობის საკითხს დღეიდან მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ.

ჭუბერის მკვიდრი მინდია გურჩიანი "რეზონანსთან" ამბობს, რომ საფრთხე ნებისმიერ დროს შეიძლება გაჩნდეს, ამიტომ მეტი დაფიქრებაა საჭირო - ასეთი რისკის ფონზე რამდენად მიზანშეწონილია ნენსკრაჰესის მშენებლობა.

"ჰესის მშენებლობას სტიქიურ მოვლენას ნაკლებად ვუკავშირებ, რადგან სამუშაოები შეჩერებული იყო. ახლა ყველაზე მეტად სტიქიამ დაგვაფიქრა. ყველამ დაინახა, რომ მდინარეს შეუძლია, მოულოდნელად ადიდდეს და ძალიან საშიში გახდეს. მე საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის მომხრე ვარ, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია ნენსკრაჰესის მშენებლობა, ეს დღეიდან დადგა ეჭვის ქვეშ. ჩვენ ვნახეთ ძალიან "გაბრაზებული მდინარე", რომელსაც შეუძლია წაილოს ყველაფერი და გახდეს უკონტროლო ყველანაირი ჯებირისა და შემაკავებელი ბარიერის მიუხედავად", - განაცხადა მინდია გურჩიანმა.

ამავე სოფლის კიდევ ერთი მკვიდრის, გია ვიბლიანის თქმით, ამ ეტაპისთვის სამაშველო სამსახურები მობილიზებულია, სოფლის თავზე ვერტმფრენიც გამოჩნდა და სრული მზადყოფნაა, რომ მოსახლეობას დაეხმარონ.

"ჭუბერი-ნესკრის ხეობაში არის მდინარის შენაკადი, ხეობაში დიდი მყინვარებია, ერთ-ერთი მოწყდა მთლიანად და წამოვიდა ნენსკრაში. ამან გამოიწვია წყალდიდობა. მდინარე ჯერ კიდევ ადიდებულია, კალაპოტი შეიცვალა და საფრთხეა, სახლებიც წაილოს, თუმცა წყალმა ცოტათი დაიკლო.

შემთხვევა ნენსკრაჰესისგან 5 კმ-ის მოშორებით მოხდა, რის გამოც ჰესის მშენებლობისა და სტიქიის ერთმანეთთან დაკავშირება შეუძლებელია, მით უფრო, რომ არანაირი სამუშაო ჯერ არ ჩატარებულა, რომ მენყერს დაუკავშიროთ. ის ადგილი, სადაც მთა ჩამოწვა, მიუვალა და არავის იქ ფეხი არ დაუდგამს. ჰესი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ამ მასშტაბის წყალმოვარდნა არ გამოეწვია", - ამბობს ჭუბერის მკვიდრი.

ამ მომენტისთვის "ნენსკრა ჰიდროს" თანამშრომლებს აქვთ უწყვეტი კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. შესაძლებლობების ფარგლებში, კომპანიის მიერ სასწრაფო წესით იქნება მობილიზებული ტექნიკა, რათა შესაბამისი დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ მოსახლეობას.

დატოვე კომენტარიკომენტარი(4)
ლი (06.07.2018)

კარგი რა პეტრე, რა უცხოელი სპეციალისტები გვინდა, როდესაც ყველაფერი ხელის გულზეა, არ იცით, რომ მაღალმთიანეთში ხელის ხლება არ შეიძლება? ხომ ხედავთ რას აკეთებენ, სადაც მდინარე არ არის ტყის ნარგავებს ანადგურებენ, მილიონობით ჰექტარი ტყე განადგურდა შარშან, ხელოვნურად შექმნილი ხანძრით, რათა დაეფარათ ბიძოსათვის უზარმაზარი ხეების მოღრა და მილიონებად თურქეთში გაყიდვა. ამას ხომ არც ერთი ნორმალური ერი არ ჩაიდენს რაც აქ ხდება. ასე რამ გააგიჟათ ეს დედა აფეთქებულები, ოღონდ ფული იშოვონ და საკუთარ დედას გაყიდონ. რა საშინელებაა, ნუთუ არ უნდა გამოფხიზლდეთ თქვე საცოდავო ქოცების ერთ ადგილას შემძვრალო ტკიპებო?

li (06.07.2018)

ამ უდიდესი სტიქიისა და განვითარებული მოვლენების შემდგომ, ეს მოსყიდული, მათხოვარი ექსპერტები კვლავ აგრძელებენ დადებით კომენტარებს მშენებლობასთან დაკავშირებით. მთელი საქართველო უნდა დაირაზმოს ამ ქვეყნის გამანადგურებლების წინაშე. ხალხი ხომ გააფარჩაკეს, მონებად აქციეს, ხმის ამოღებისაც ეშინიათ, ჩვენს თვალწინ ყველა ხეობას ანადგურებენ, ეს ქვეყნის მტრები ბიძინას უშუალო ხელმძღვანელობით, ოღონდ ფული გამოიმუშავონ და აღარაფერს დაეძებენ, ხომ წარმოგიდგენიათ ნესკრას მაშხალი აგებული, რომ ყოფილიყო, რა ეშვებოდა დას. საქართველოს, სვანეთთან ერთად სამეგრელოც წყალში აღმოჩნდებოდა. რა უნდათ ამ გარეწრებს, გაგვაგებინეთ ხალხო. დღეს ლეჩხუმში, შავ-ხევსურეთში, რაჭაში, აჭარაში, მოკლედ ყველგან, სადაც კი პატარა მდინარეა ამრობენ და ჰესებს აშენებენ, რა უყვეს თრგს ამ უბოროტესმა არსებებმა, პატარა ნაკადულად გადააქციეს; კატასტროფები თანდათანობით გაძლიერდება, ამ არარაობა ოლიგარქებს მთელ მსოფლიოში აქვთ სახლები ნაყიდი, თქვენ რა გეშველებათ 15 ლარიანო ქოც-მათხოვრებო, სულ რომ განყდებით, მაგისკენ მიექანებით.

li (06.07.2018)

ამ უდიდესი სტიქიისა და განვითარებული მოვლენების შემდგომ, ეს მოსყიდული, მათხოვარი ექსპერტები კვლავ აგრძელებენ დადებით კომენტარებს მშენებლობასთან დაკავშირებით. მთელი საქართველო უნდა დაირაზმოს ამ ქვეყნის გამანადგურებლების წინაშე. ხალხი ხომ გააფარჩაკეს, მონებად აქციეს, ხმის ამოღებისაც ეშინიათ, ჩვენს თვალწინ ყველა ხეობას ანადგურებენ, ეს ქვეყნის მტრები ბიძინას უშუალო ხელმძღვანელობით, ოღონდ ფული გამოიმუშავონ და აღარაფერს დაეძებენ, ხომ წარმოგიდგენიათ ნესკრას მაშხალი აგებული, რომ ყოფილიყო, რა ეშვებოდა დას. საქართველოს, სვანეთთან ერთად სამეგრელოც წყალში აღმოჩნდებოდა. რა უნდათ ამ გარეწრებს, გაგვაგებინეთ ხალხო. დღეს ლეჩხუმში, შავ-ხევსურეთში, რაჭაში, აჭარაში, მოკლედ ყველგან, სადაც კი პატარა მდინარეა ამრობენ და ჰესებს აშენებენ, რა უყვეს თრგს ამ უბოროტესმა არსებებმა, პატარა ნაკადულად გადააქციეს; კატასტროფები თანდათანობით გაძლიერდება, ამ არარაობა ოლიგარქებს მთელ მსოფლიოში აქვთ სახლები ნაყიდი, თქვენ რა გეშველებათ 15 ლარიანო ქოც-მათხოვრებო, სულ რომ განყდებით, მაგისკენ მიექანებით.

პეტრე (06.07.2018)

მოვინვით სპეციალისტები, აშშ-დან, შვეიცარიიდან, ევროკავშირიდან და
გავითვალისწინოთ მათი რეკონდაციები...
